

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია.  
პროლეტარიუმ ყველა ქაფისა, შემოტევით!

თბილისი, 17 იანვარი 1918 წ.

ფასი 40 კაპ.

# ახალი კვალი

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საჟოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 2 თრგანო ახალგაზრდა მარქსისტთა თრგანიზაციებისა. № 2

400 კ



ირაჭო წერეთელი.



କରନ୍ତାମଣ୍ଡଳ

## უფასკრულის პირზე.

რუსეთის რევოლუციის ერთი თავისებური წინააღმდეგობა ახასიათებს. ეს არის სუბიექტიური და ობიექტიური მომენტის შეურიგებლობა, „იდეალის და სინამდვილის“ გაორება, დუალიზმი—სურვილებისა და ამ სურვილების განხორციელების შეუთანხმებლობა. ასეთი წინააღმდეგობა, საერთოთ თან სდევს ყოველ რევოლუციას, როგორც საზოგადოებრივ წყობილების ჩქარ გარდაჭმას, როგორც ერთგვარ ნახტომს ისტორიაში — მაგრამ რუსეთის რევოლუციის განვითარებაში იგი წითელ ზოლივით არის გატარებული.

საზოგადოთ, როგორც ამას კაუცი ამტკიცებს, შემჩნეულია, რომ ეკონომიკურ ძლიერინების და აყვავების ხანაში პროლეტარიატის რევოლუციონური აღტყინება ეცემა და მასში პროლეტიუნისტული აზრები უფრო პოლულობენ ნიადაგს. ამ დროს ადვოლი ქმნებათ კაპიტ. საზოგადოების ნაბიჯებით და რეფორმებით გარდაჭმის შესაძლებლობა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისების დროს კი მუშათა კლასი უფრო მოცულებულია და სუბიექტიურია მომზადებული — ას რომ ხშირად ზედმეტ რევოლუციონერობასაც იჩენს.

ჩვენ ამის მიხედვით რუსეთის თვითმშერობებულობა შევეძლია, თუმცა პირობით, ერთ განუწყვეტილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისათ წარმოვიდგინოთ; ასეთი ატმოსფერია კი საუკეთესოთ აღინიშნდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციონურს ძალას და მისწაფებას. ამ რევოლუციონურმა ენტუზიაზმა მისცა თავისებური სიძლიერე და ცეცხლი რუსეთის რევოლუციას, მაგრამ ამაშივე იყო ჩამარხული საფრთხე თავის ძალების გადამცემებულ შეფასებისა. მუშათა კლასს — კლასს სოციალისტურს — ამასთანავე კლასს საკმაოთ ჩამოყალიბებულს, სუბიექტიურია მომზადებულს წილათ ჰევდა პირველთ თავისი რევოლუციონური ენერგია ბურჟუაზიულ რევოლუციაში მოეხმარა ე. ი. ისეთს რევოლუციაში, რომლის ონეგერიური მიზანი კაპიტალისტურ წყაბილების დამკიდრება და ამისთვის გზის გადაწყვნდა იყო. ამისთვის ცხადი იყო, როცა პროლეტარიატი გაარღვევდა სიმაგრეების პირველ წყებას — მის მოზღვაუბულ ენერგიას ცელად კვეთავის გადაწყვნდა აღმართოდა.

წინ, მით უფრო, რომ რუსეთის წვრილი ბურჟუაზია — უნიჭმედო და ინერტიული — თავის პოლიტიკურ უსახობის გამო რეალურ ძალას ვერ შეჰქმნიდა და ერთს პოლიტიკურ ხაზს ვერ გაატარებდა.

მაქსიმალიზმის იდეების ზრდა აუცილებელი იყო რუსთის რევოლუციაში, — ბლანკიზმისათვის, უნიტირესობის (მუშათა კლასი) ბატონობისაკენ მიწრავებისათვის — საუკეთესო ნიადაგი მზადებოდა. გარემოებაც თთოქოს ხელს უწყობდა — ამ ტენდენციას — კლასობრივი მხოლოდ ნიადაგის განვივრება იყო მისთვის. ის ეკ არის კვანძი რუსეთის რევოლუციის სიძლიერისა და სისუსტისა — იმ საკირველ წინააღმდეგობა — ანტინომიებისა, რომლითაც ასე მდიდარი დღევანდელი რუსეთის სინამდვილე.

ეს წინააღმდეგობა რუსეთის რევოლუციასა უფრო გააღრმავა მსოფლიო ომშა. რევოლუცია იმმა დააჩქარა — იგი ძევლი რუსეთის გახრწნისა და დამარცხების ნიადაგზე წარმოიშვა — ამისთვის მას ამ ომის რეინის დაღი თან ახლავს და ყოველს მოვლენას თავის სახეს აძლევს; ამ მოვლენით აიხნება ერთის მხრით რუსეთის რევოლუციის წინაგანი სისუსტე და უილაზებობა; რუსეთის რევოლუციაში, წინააღმდეგ საფრანგეთისა, ვერ გამოაშეარება ფარული ძალა და ენტუზიაზმი — იგი უკე დაქანცული იწვა ამ ქვიყნათ.

ზავის იდეების და ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგობა — კიდევ უფრო გააძლიერა მაქსიმალისტური მიწრავებანი: ჯარი — შეიარაღებული ძალა ბალშევიზმს გაჰყენა. ამით სუბიექტიურ და ობიექტიურ მომენტის, რევოლუციის ნამდვილ ხასიათის და მუშათა კლასის პირად სურვილების შეუთანხმებლობა კიდევ უფრო გაიზარდა. საზოგადოთ ასეთი წინააღმდეგობა თვათმოოფურ ტკივილებს და კატასტროფებს იწვევს, და დაქანცულ ჯარის მოქმედებამ ხომ უფრო ძლიერ დამახინჭა რუსეთის რევოლუცია.

ასეთმა თავისებურმა მდგრამერებამ გამოიწვია ბალშევიზმი ირი იდეოლოგიის შექევა: ერთი ახალგაზრდა, პირველ გამარჯვებით გაბრუებულ მუშათა კლასისა და მეორეს მხრივ ზავის მსურველ ჯარისა, როგორიცაა უნდა ყოფილიყოს ზავი. პირველის მიწრავება თუ ტრალიკულია და კატასტროფისაკენ მიისწრავის, მეორე მაზინჯ და გამანადგურებულ ტენდენციებით არის შეპყრიბილი. ამ ორი იდეოლოგიის შეზებამ მოგვცა ჩვენ ბალ-

ევიკების „მილიტარისტული სოციალიზმი“—პა-ოდია, დაცინვა სოციალიზმისა. ჯარი, როგორც ამხმარებელი და არა მწარმოებელი არმია და მას-ან უმთავრესათ გლოხებისაგან შემდგარი—სოცი-იზმის იდეას რესექტში ითვისებს როგორც „გა-უფის კომუნიზმის“ იდეას, რასაც არაფერი საერ-ო არა აქეს ნამდვილ სოციალიზმთან. თუ 71 ლის პარიზის მუშების აჯანყება თავისი იდეალე-თ მაინც იყო დადი და ფაქიზი, დღეს სოცია-იზმის იდეაც შერჩენილი და ვრცელდარჩლია.

რუსეთი ანარქიაშ მოიცვა და დღითი დღე  
ხტვნება; სახალხო კომისარების საბჭო სცდილობს  
ავისი სისუსტე და უძლურება სისხლით და დე-  
ურატიშმის ფეხით გათელით დამაროს.

დამზუქნებელი კრების იღებში რუსთის რე-  
ოლოუების ყველა სასიცოცხლო ძაფები თავს იყ-  
ჩიდა,—იგი უნდა ყოფილიყო გვირჩვინი ზალხის  
იერ მოპოვებულ თავისუფლებისა—ამისთვის ცხადია  
ალშევიქების სახეც მოელი თავისი სიცხადით აქ  
ამოაშკარავდა. საზოგადოთ დემოკრატიულათ არ  
ულ ორგანოს წინააღმდეგ. გაშინ შეგვეძლია გა-  
ლაშქროთ როცა იგი აღარ გამოშეატავს ხალხის  
ცერესტებს.

დამუჟუნებელი კრება საუკეთესო საარჩევნო  
ქადაგისთ არის ორეული და თუ იგი ნამდვილი ასლი  
არ არის დემოკრატიისა — ეს ჩვენ საზოგადო ყო-  
ველ განვითარების და მით უფრო რეესალიუციის  
ასათში უნდა ვეძიოთ და არა ამ უკანასკნელ  
ოფელების განსაუთოებულ სახეში. რესენტის დამფუ-  
ნქებელ კრების გარეკა ამიტომ საზოგადოთ პარ-  
ლამენტარიტემის უარყოფა — და მართლაც ლენინმა  
თავისი „! იციალური რესპუბლიკით“ ხომ უარპყო-  
დარლამენტარული ფორმა სახელმწიფო უფლებებრივ მმარ-  
იცელობისა. დამუჟუნებელი კრების ორჩევნებმა  
დამტკიცა, რომ ბალშევიკების მთავრობის სოცია-  
ლური ბაზისი მეტათ ვიწრო ყოფილა, მან გამოა-  
ქარავა ბლანკისტური ხასიათი ოქტომბრის „რე-  
სოლიუციისა“. შეიარაღებული უმცირესობა დაუ-  
ირდაპირდა დემოკრატიულ ორგანოს. ამისთვის  
არალელი ლენინისა და ნიკოლოზ მეორის მთავ-  
რობის შორის არც ისე პარალექსალური, რო-  
ორც ეს პირველ შეხედვით გვჩვენებათ: ორივე  
მცირესობას და შეიარაღებულ ძალას ეყრდნო-  
ოდა.

მაგრამ მიუხედავათ ბალშევიზმის ჯარში და  
მუშებში გავლენისა დამფუძნებელ კრების გარეკა  
შეიძლება მწარო გაკეთილი იყვეს მათთვის; მას-  
თან ბალშევიზმის ორგვენაცეპტის ბატონობამ ბევ-  
რი იმედი გაუცრუა მათ; და ია ჩვენ უნდა ვეცა-  
ნეთ ამ რევებს თავისი გარკვეული სახე შივსცეთ  
და დამტუძნებელ კრების ლოზუნგის გარშემო შევ-  
კრიბოთ ჩაღლური, დემოკრატიული ძალა. ეს იქ-  
ნება ერთათ ერთი გამოსაფალი შექმნილ მდგომა-  
რეობიდან.

მაგრამ სანამ ეს პროცესი დამთავრდებოდეს  
პერიფერიული უნდა ეყალნენ ანარქიის ცენტრი  
მათ არ მოედათ... ჩევნში ამ მიზნისთვის ნაბიჯები  
კიდევ გადადგმულია. ცენტრის დადგენილებით  
ამიერ-კავკასიის მერ არჩეულშა დამჟ. კრების წევ-  
რებმა უნდა შეადგინონ სეიმი ამიერ-კავკასიისა,  
რომელიც თავას მთავრობას გამოჰყოფს და აღი-  
ლობრივ საითხმებს გაუქმოვნა.

დღეს დღეობით კი რევოლუცია განსაცდელს  
განიცდის. და ყველა ამის შემდეგ რა შწარე და-  
ცინგათ მოეჩვენება ბალშევიკების დეკუტარციაში  
გამოთქმული საუკეთესო იდეალები მას, — ვინც  
ბრძან არ არის და დღვევანდელ რესენტის სინამდვი-  
ლეში ერკევა.

უფსკრულის პირზე ვდგევართ ჩვენ... და აი აქმდის, მწარე დღეებშიაც თუ მომავალს თამამათ უსწორებდით თვალს --დღეს ჩვენ ამ მომავლის გვეშინა... და ეს გვევგი საუკეთესო ნიშანია ჩვენ ტრადიცულ მდგრადიობისა...

— ა. — ი.

ასალებას მარქისისტოა კონფერენციის გამო.

იანგრის 17-ს თვილისში გაიხსნება ახალგაზრდა მარქისტოა ორგანიზაციების კონფერენცია... უმდგალით დროში უხდება მას მუშაობა... ძნელია მჭიდრო ორგანიზაციის შეკრა, ძნელია გულ-დამშეცდებით განხილვა საორგანიზაციის კითხებისა, მაშინ, როდესაც ტანჯვით და სისტემით მოპოვებული თავისუფერება განსაცდებლია, როცა არ ასებობს ერთი მთლიანი ფეირფრატიული ფრინტი და თეთრი მშრომლელი ხალხის ნაწილები ამხედრებულან ერთი მორისი წინააღმდეგ.

მაგრამ ეს დიალი მომტკი უფრო გვავალებს ჩვენ, ახალგაზრდებს მომვლის შეიძლებს --გადავლაბოთ ყოველი შინაგანი დაბრკოლება, მწარე ფიქრებით გამოწვეული და შემოქმედებისთვის არ დავცეთ სულით. ყოველი ტანჯვული რგოლი რეკოლუციის ჯაჭვისა ჩვენს ახალგაზრდულ სულის-კვეთებაშიაც უნდა დაბეჭდოს --მაგრამ ეს აღბეჭდა სასიკვდილო კი არ უნდა იყენეს ჩვენი ენერგიისათვის, არამედ ახალი ძალის შემმატებელი.

მეორე შერივ მით უფრო საყურადღებოა ეს კონფერენცია, რომ მას ახალ, უფრო ფართო ნიადაგზე უნდა დააყენოს ჩვენი მომვალი მუშაობა. თუ აქამდის მხოლომი მოწავეობა იყო შეეკავშირებული, ეხლა მან ხელი უნდა ჩასჭიდოს ახალგაზრდა მუშებს და სტუდენტებს. - ინტელიგენტულ ძალების და მუშების ეს კვაშირი მით უფრო სკიროა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზრდობა თავიდანც დაუახლოვდება იმ ძალის, რომელსაც უნდა დაეყრდნოს შემდეგს თავის მუშაობაში ე. ი. მუშებს. -- ჩვენი ორგანიზაცია თავისი ტიპით უნდა დამზგავსოს ეკრანის და ამირიკის ახალგაზრდა სოციალისტთა ორგანიზაციებს...

ამს გარდა აქამდის სხვა და სხვა დაბებსა და ქალაქებში დაქაქსულ ძალებს ერთს ცინტრში უნდა მოყყაროს თავი და ჩვენი ორგანიზაცია უკვე ფაქტიურათ შეიწენს ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქისტთა ორგანიზაციით

გამო შემუშავებო!

დაიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი და დაფუქრებით და ახალგაზრდული სიხალისით შეუდგეთ მას!

## ჩვენი უურნალი და „ერთობა“.

„ერთობაშ“ შემდეგი წერილი უძლენა ჩვენი უნალის გამოსვლას:

„ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქისტები შესაფერი ორგანიზაცია მარწყეს და მათ ყოველი კიბრეული სამეცნიერო საპოლიტიკო და სალიტერატურო უურნალი „ახალი ევალი“ გამოსულ უურნალის პირველი ნომერი ფრიად სასიამოვნო და სერიოზულ ნაშრომის შთაბეჭდ-ლებას ახდენ აქ მოთავს ბულ წერილების შინაარსი აშაკარათ და დადებს, რომ ორგანოს ხელმძღვანელები და თან ეშრომლები საკიარისათ გასცნობიან მარქისის სურა და ეკონომიკურ თეორიას, მათ სისწორი შეუთვისებით მარქ-ენგელის კვლევით მეთოდი და ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას გარკვეულ აშექებენ.

ეს მოვლენა ადგილობრივი მუშათა კლასითვის სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩათვალო ჩროლეტარიზმი ერთობ ლარებია მარქისტული ცოდნამეცნიერებით აღმურვილ ინტენსიური ძალებით, განსაკუთრებით სუსტაა გრინბოლები არაინ მათქმიშის ახალგაზრდები და ასარეზზე ახალგაზრდობის შეეკავშირება და მუშაბა დიდათ საიმედო და სასიხარულოა.

დასაცლეთ ეკრაპაში -- განსაკუთრებით გერმანიაში, სოკიალ-დემოკრატიულმა პარტიამ ახალობის და ახალგაზრდობის მარქისტულათ აღზრდა გაწვრთნას ჯერიგანი ყურადღება მიაქცია. მაკარგა ხანია შექმნეს ახალგაზრდათა ორგანიზაცია მათთვის შესაფერი სასწავლებელიც კი დაასკერდი ამ სასწავლებელში იზრდება მომავალი თაობა, რომელიც შემდეგში პროლეტარიატის მოძრაობა გვერდში იმუსლება და მას შესაფერ ხელმძღვანელობას გებდება გებენშეც. ჩვენში ასეთი ორგანიზაციის ინციდენტი ახალგაზრდებმა იკისრეს და ეცყობა საგრძნობ ძალისაც წარმოადგენენ. ვუსუკ ვებთ ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციას თავის გადშემო ჩვენი მომავალი თაობის მრავალი რეცენზიერების და თავიანთ წრიდან გამო ზარდომის ისეთი პირები, რომელიც პროლეტარიის შორის ამონამდების სათავეში ჩაუდგებიან და მუშაკლასის საუკეთესო იდეოლოგები იქნებიან“.

# ერქსიზმის ფილოსოფია ფილოდან.

I

## ზოგადი პრინციპები.

რუსეთის რევოლუციის ხანაში, როდესაც პრაქტიკული მინები კულტინ უდგას, ოქონია ჰერი-თავის სიღიადეს. ოქონიული კიახვები საზოგადოო ფილოსოფიური კერძოდ ყოველ მოძრაობის დროს იქნას იურგებიან და უკანასნელ ხარისხის აღყილს ჩერენ. თანამედროვე რუსეთს დიდი და მწვავე საკითხი აქვს გადასაჭრელი. მატომ ბუნებრივი მოვლენაა, და პრაქტიკა სჭაბობს თეორიას. ასეც ხდება ეხლალს რუსებითში. ვის აწერებს ეხლა წმინდა თეორიულ წოდები, ვის აწერებს ფილოსოფიური პრობლემები, ეგვაციური რუსეთის რევოლუცია იოხევს საქმეს და არა არა ასეს და თეორიებს. ასე ფიქრობს უშრავლესობა.

ჩევნ აღნინაშვილ მხოლოდ ფაქტს, ხოლო ამ მოვალის სრულიად არ ვეთანხმდებით. ეს მოვლენა არ არის აუთიფიური თეორება თანამედროვე აზრონებისა. ასე ყოველთვის დიდ მოძრაობის დროს. ასე იყო 1905 წლის ხოლო მაშინ მარქსისტულ ფილოსოფიის თრიბუნიდან გაისამა პროტესტი ამის წინააღმდეგ.

პლეხანოვა დიდის ძალით გამოილაშერა ამ თეორია საკითხებისადმი ინდიფერენტიზმის წინააღმდეგ, ნაკლები ძალით გამოვიდა ბოგდანოვი. ბოგდანოვის აზრს ასე ასაბუთებდა:

„სჭიროა ნათლად გხედავდეთ, რომ სწორეთ ვია; თეორია მით უფრო საჭიროა, რაც ხორის მიზანი, უფრო რომელია და ჩერის მოძრაობა. მნიშვნელოვანობის მსოფლ-მხედველობის ზრდისა და მომზურილი გარეშე ცხოვრების. ინტენსივობაზე. გირც იზობს, რომ დამკიდებულება ფილოსოფიურ თეორია და პლიტეურ პრაქტიკის შუა არ არის არსებ დიდ შეცდომაში შედის და შემდეგში შესაბამებ არა ნაკლები დიდი პრაქტიკული შეცდომები წონას“\*).

ამის და მიხედვით ჩევნ შეუძლებლად მიგვაჩინა არა ით რა მარქსიზმის ფილოსოფიურ „საფუძველზე“. თუ ყოვლისა გავარკვიოთ რაზი მდგომარეობს მარქსიზმის ფილოსოფია, რა მდგომარეობაშია იგი და რას ას სიტყვა „მარქსიზმის ფილოსოფია“. მარქსისტებს შორის, როგორც რუსეთში, ისე დაუა ევროპაშიც, არის ორი დიდ მიმდინარეობა. თრველ მიმდინარეობას საფუძვლად უდევს ის მოსა, რომ მარქსიზმი ფილოსოფიურად შეუმუშვებელს არა აქვს საკუთარი ცოდნის თეორია, იგი არ ადგენს განსაკუთრებულ მსოფლ-მხედველობას. ის მოვარდი შენიშვნები, რომელიც მარქს-ენგლისის

\* იხილებ ბოგდანოვი: „მემკრიომიზმა“ წიგნი III II.

ცალკე ნაწერებშია გაბნეული, არა თუ სისტემას არ შეიცავენ, თავის თავად იმასც არ ვეუბნებიან გარეუვადი რომელი თანადროული ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი იყენენ მარქს-ენგელსი. ამის და მიხედვით შეეიღდებს ვალია აქეთ მარქსიზმის გაფართოება, მისი მსოფლ-მხედველობის გადამუშავება.

ამ მიმდინარეობის სხვა და სხვა მიმართულებას წარმომადგენლი თავისი ასაბუთებრი ასაბუთებრი მარქსიზმის გადამუშავებას და თავისი ასაბუთებრი აფარითოვენ მარქსიზმის გადამუშავებას. არ არის შემუშავებული, ჩევნ უნდა შევმნათ ფილოსოფიური საფუძველი მარქსიზმისა-ა არ აზრი საჭიროებისა (რ. დიცგრი და მისი მიმდევარი).

წინააღმდეგი აზრისაა მეორე ჯგუფი ბოგდანოვის მეთაურობათ:

„მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძველი არ სჭირია: მარქსიზმის თვით არის საფუძველი, ჩევნ მხოლოდ გვინდა შევმნათ ფილოსოფიური სისტემა, ამ საფუძველზე-ო. და ბოლოს მესამენი: მარქსიზმის ერთის მხრივ სოციალურ-ეკონომიკური ღერტრინაა, მეორეს მხრივ კი ერთგვარი მეთოდია ისტორიული ცოდნისა. მაშასადაც, მარქსიზმი არ არის თვით მსოფლ-მხედველობა. მარქსიზმის უნდა დაერთოს ფილოსოფიური სისტემა და იგი შეიქნება მსოფლ-მხედველობათ.

ამგარ სახეებს იღებს პირები მიმდინარეობა.

მეორე მიმდინარეობა, რომელსაც პლეხანოვი და აქელერიდი უდგას სათვეში, იყაცს იმ აზრს, რომ მარქსიზმი არის მთლიანი მსოფლ-მხედველობა, არის ფილოსოფიური სისტემაც.

როდესაც პირები მთავარ მიმდინარეობაში არის ბევრი სხვა და სხვა მიმართულება, მეორე მიმდინარეობაში მეფობს (ცოტათ თუ ბევრათ) ერთგვარი და ერთნაირი აზროვნება.

და ი ამ მიმდინარეობათ და მიმართულებათა შორის დიდისანია კამთი გამართული; და ვინ იყრი როდის დამთავრებდა (თუ კი დამთავრებდა!) ეს კამთი. სინტერესულია ის მოვლენა, რომ მარქსიზმულ ფილოსოფიის უველი წარმომადგენლი ერთმანეთს იდეალიზმი სდებენ ბრალს. პლეხანოვი და ილინი (ლენინი) ყველა არა თანამოსაზრებს „მახისტებს“ (შაბას ფალისორის მიმდევრებს), იდეალისტებს უწოდებენ. „მახისტე“ გაზარების თავის მხრივ პლეხანოვის ფილოსოფიური სისტემა მისტიკურიზმის ერთ-ერთ სახეობ მიაჩინა.

იუშევებიჩი ბოგდანოვის სისტემას (ე. წ. ემპირიომონიზმს) სპირიტუალიზმიდა სთოლის, ხოლო ბოგდანოვი იუშევებიჩის პლატონისტადა შაბასა, რომელიც ჩერა მისტიკიზმით დაათვებს...

როგორი უნდა იყენეს მარქსიზმის ფილოსოფიაი აი ის კათება რომელსაც ჩევნ უნდა გაცემოთ პასხი.

მარქსიზმი არ არის მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური მოძრავია, მარქსიზმი, როგორც ამბობს იუშევებიჩი, არის ტენდენცია, არის

შინაგანი ძალა განვითარებისა, რომელიც ჰქილს მას არა  
მხროლო ეტაპი სოციოლოგიურ ზოდვებიად, არამედ  
მთლიან და ლიად მსოფლ-მხედველობათ \*\*\*).

იგი არ არს მხოლოდ შეცნიერული სისტემა. იგი იმავ დროს განსაზღვრულ კლასის იდენტოგრადა. როგორც პროფესიალის იდენტოგრაბს, პარტიის მარტინ შეუძლია შეუერთდეს ყოველ სისტემას. ვერ შეურიგდება იგი იდეალიზმაც, რადგან ფილოსოფიის სტრუქტურიში იდეალიზმი ასრულებდა და ეხლაც ასრულებს კლერიკალიზმის ფილოსოფიურ როლს. ამიტომ მას აქვს ყოველთვის ანტი-დემოკრატიული თვისებები. იდეალიზმი არსებითად თეჟულობრივია (მოძღვრება იმაზე, რომ ბურგება ასრულებს რამებ მიზანს), და როგორც ასეთი, იგი ყოველთვის ნებით თუ სურბილით თოვლობრივი სისტემა.

ამით მარქსიზმი ითხოვს ფალისოფერისაგან რომ  
იყრ, (თუ კი მას სურს შეიქმნას მარქსისტულ ფალისო-  
ფალ) იყვნეს ანტი-იდეალისტური, მატერიალისტური, პო-  
ზიტური. მატერიალიზმი ავ ნიშანს ანტი-იდეალიზმს,  
რაგორუც ეს ესმობათ თვით მარქს-ენგელს.

ხოლო იმის თქმა, რომ ვარჯიშისტული ფილოსოფია  
უნდა იყენება არა იდეალისტური არ არის საქმიარისა: ვარჯ-  
სიტმები არაა ისეთი ელემენტები, რომელთვიც მეტათ  
განსაზღვრავენ ფილოსოფიას. მა ელემენტებში უმთავრე-  
სი აღავრი უკიდურეს, გერეთ ჭრებულს დიალექტიკას.

რაში მდგომარეობს ლიალუქტიკა და რას ითხოვს  
იმი მარტისცულ ფილოსოფიისაგან?

დაილექტრიკოში უნდა გავიჩინოთ რამოდენიმე მო-  
ცეკტის მნაბეჭ. მასში პირველ ყოფლისა არის მომენტი  
ისტორიაშიმისა, პრინციპი განვითარებისა, მსოფლიოს ცა-  
ლებადობისა. ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი  
მოძრაობს — ამ მისი პირველი და უმთავრესი ფირმულა  
შეძრაობებს ყოფის ფორმები (ფორმა ბეტია), მასშას დამე  
ნოძრაობებს ცოდნის ფირმებიც (ფორმა პიზანია). ამ  
გვიათ დიალექტრიკა ნიშნებს არა მარტო ისტორიზმის  
დანაშიუმს, არამედ რეალიზმისაც.

და ბოლოს დიალექტურის მესამე მხარეს ჟენდგვენს  
სინტერიზში, მოძრვერება იმის ჟესახებ რომ მსოფლიოში  
ყოველივე დაკავშირებულ-დამოკიდებულია ერთი მეორი-  
საგან და ცალკე ელემენტები მსოფლიოში არსებობენ.  
შოლოდ ამ კაშშირში და არა დამოკიდებულია, არ  
ინდივიდუალურია.

ଓমিত দালেঁক্ষেত্ৰীয়া শূরাক্ষণোৎসু শুভেলা অশৈলোগুরুদেশ  
শুগুবল অশৈলোগুরুশুৰু। ইগু শূরাক্ষণোৎসু অপৰিনোচিমি, রো  
গুন্তু সেৱাঙ্গালস অশীর্ণুক্ষেণ্ডৰিস শুভেলেঙ্গেস ফোন্দুমুঠেৰু, শূর  
শুমোৎসু শুগুবল শুভেলুক্ষেণ্ডুগুণ। সিৰেলুক্ষেণ্ডীমি দালেঁক্ষেত্ৰীগুশে  
অল্লোক্ষেণ্ডীস অশীর্ণুক্ষেণ্ডৰিস দা পুৰোজু অং অন্তু-অশৈলোগুরুশুৰু  
ত্যুক্ষেণ্ডুগুণ। গুৰুৰো অমিস সিৰেলুক্ষেণ্ডীমি গুৱেশুক্ষেণ্ডৰু শৈম-  
লেঙ্গেস; ইৰ অৰোস „ড়—কিৰ অৰোস „ড়—নিৰুপ; শু—„ড়—নৰোত অৰ  
অশৈলোক্ষেণ্ডীস „ড়—নৰোত; এম অৰোস গুৱাহাটীগুণৰূপ অৱৰ্ণোন-

ტეიკოზმი, რომლის აზრით არ არსებობს არაფერო ათავად: არსებობს მხოლოდ კავშირი და დამცირებელი მა. ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი არსებობს სხვა ირთვა, რომელთანაც იგი ურთიერთობაშია. \*\*\*)

დღიულებელიკა, როგორც ასეთი. არის ნამ  
ხარჯისაშვილია; ამით იგი საზღვრავს, ავიტროვებს იმ  
ლილოფიურ სისტემათა რიგს, რომელიც შესაძლებე  
შემორიგდეს მარჯვის მიზანზე.

და ბოლოს არის ერთი ელექტრიც, რამეც  
კიდევ მეტად საზღვაუს ამ ფილოსოფიურ სისტე-  
მისგან: ეს არის ისტორიული მატერიალიზმი. თუ მე-  
ლობაში გვაქვს დალექტიკა, ჩვენ ვლაპარაკობთ ჰე-  
ნების და ცოდნის (cozhanie և pozhanie) ფირმათ  
ვეთარებაზე. თუ კი ამასთანავე გვაქვს. მხედველი  
ისტორიული მატერიალიზმი, მაშინ ჩვენ ცოდნა გვ-  
როვორც ორგანიზმის საზოგადოო, და ადამიანთა  
ქოთ, ერთგვარი შეფარდების ფირმა (ფორმა ყ-  
ინისა), არსებობისათვის ბრძოლაში. ვინც ისტო-  
რიული იდეალიზმის თვალსაზრისებრ სდებას, მას ცოდნა  
ეშმოდეს, როგორც ერთოვანი ბიოლოგიური რეა-  
ნენ-ნელა ჩამოვაშირება ჩვენ გარესიზმის შე-  
მხედველობას სხვა და სხვა ფილოსოფიური სისტ-  
მატერიალიზმის ზოგად ცნებით, როგორც ანტი-იდე-  
ტურ მატერიებით, ჩვენ დაცუშინდით ბერძნ იდეალ-  
სისტემებს. დაალექტირის დინამიზმით, რელატიუ-  
რა და სინტეტიზმით უფრო მეაფიოთ გამოიჩნდა მარქსი-  
ზოლოსოფიის სასიათო. ბოლოს, შეხედულებმ ცა-  
როგორც ბიოლოგიურ რაქციაზე, ერთ და იმავე-  
გამოხატუ მარქსიზმის ფილოსოფიის არსი და დაგვ-  
რომ იგი (მარქსის ფილ). არც ძლიერ განსხვავდება  
მეტარეგი შეცინებულ ფილოსოფიისაგან.

აქ, მარქსიზმის სოციოლოგიზმის მიჯნაზე მარქსიზმის სპეციალური ობილოს სოფთა.

୧୦ ଏହି ମିଶନାର୍ଥେ ଲେଖାକାଙ୍କ୍ଷା ଏବଂ ଏହି ମିଶନିଟି ଗୁଡ଼ ଉପରେ ମାର୍କ୍ସିସିଲ୍-ଫ୍ରାଣ୍ଟଲ୍ ଲେବ୍ସା, ରାତା ଶ୍ରେଷ୍ଠିକାଙ୍କ୍ଷା ଓ ଅନ୍ୟାନ୍ୟ ମାର୍କ୍ସିସିଲ୍ ଲୋକଙ୍କ ବିଭିନ୍ନରେ ପାଇବାର ପରିକଳ୍ପନା.

ა. ბოგდანოვს აქცის თავისი საყუთარი ფილოს-  
რი სისტემა ეგრძელ წოდებული ემპირიოზონიზ-  
მელიც მისი აზრით „გაიმდინანერობს მარჯის ს-  
ლოგიშისან, წარმოშობის (ვიცეპრინციპით) ზოგა-  
მაში თანამედროვე საზოგადოების უმთავრეს მა-

და პროლეტარულია თავის ტეხნიკურით \* \* \*).  
რამდენად არის ეს სისტემა შეცნიერული და  
დღნად მარქსისტული — იძაზედ შემდეგში ვიტვით  
სრულდება განხილვის დროს.

\*\*\* ) სინტერიშმი დიალექტიკაში ეთანხმება  
სიშმის სოციოლოგიურ კონცეპციას; მაგ., მარქსი  
ცდარათ სოცლის ატმისტურ შეცვლულებას საზი  
ბაზე. იგი სოციალურ ერთეულში ხედავს ცენტრს  
(ადგ.) პიროვნებაში.

\*\*\*\*\*) օե. ծաղքաբոցի: „Էմպիրիոնիզմъ“  
III սტաტօ „Самопознаніе философії“ 38. 157-9.

ბაზაროვი ბევრში ეთანხმება ბოგდანოვს, ხოლო ფილოსოფიაში იგი მეტ ყურადღებას აქცევს პრატიკულ-მხარეს. მასში არის სქემა დიდი ფილოსოფიური სისტემისა „მოქმედების ფილოსოფიისა“ (ფილოსოფია ძალაშია). ეს სისტემა მისი აზრით არის ერთათ ერთი მარქსისტული ფილოსოფია \*\*\*\*\*).

იუშევების ფილოსოფია თავის მხრივ გამომდინარებს არა მარქსიზმიდან, არამედ მეცნიერებიდან და მიდის მარქსიზმისაკენ. მისი აზრით მარქსიზმი, უკეთ, ისტორიულ მატერიალიზმში ორი მხარეა: სოციალურ-ფისიოლოგიური, ე. ი. მდგომარეობის და შეგნების ურთიერთობა, და სოციალურ-კასმიური. ეს მეორე ნიშანებს პროცესს კაცობრიობის და ბუნების შორის. ამ სოციალურ-კასმიურ მხარესთან აქვს საქმე იუშევების ფილოსოფია \*\*\*\*\*).

შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი მარქსიზმის ფილოსოფიურ სისტემაზე, თუ უნდა ვილაპარაკოთ სისტემებზე? რასაკირევლია, ჩვენ თვალებს ვერ დავტუშავთ, სინამდებილეს გვერდს ვერ აუზევთ: არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე სისტემა მარქსიზმის ფილოსოფიაში. მაშინადამე, თუ ერთია რომელიმე ქეშმარიტი, სხვა დანარჩენ შემცდარი იქნებინ. ხოლო კათავე ეხლა შემდეგშია: რომელი სისტემა ჩაითვალის ქეშმარიტ-მარქსისტულ სისტემად? ამაზედ ჩვენ ზემოთაც ვლაპარაკობდით. ეხლა ცოტა გავაჟარიოთთან ჩვენი პრინციპი.

ყოველ მარქსისტულ სისტემას უნდა მიუდგეო ორის საზომით. პირევლი არის ტრანსცენდენტური მეთოდი იდეოლოგიათა განხილვისა; მეორე მათი იმანქონტური ანაზომისა. პირევლი არის სოციალოგიური საზომი (კრიტერიუმი). ამ საზომით ჩვენ ვხელმძღვანელობდით, როდესაც უარყოფა იდელი იშმი. ეს სოციალოგიური საზომი (ანუ როგორც ზოგი ეძახის ტრანსცენდენტური მეთოდი იდეოლოგიათა განხილვისა) ისეთი საზომია, რომლის ძალითაც ჩვენ უარყოფა ზოგიერთ ფილოსოფიურ კონცეციებს, სისტემებს, როგორც პრილეტარიატის აზროვნების წინააღმდეგს.

მეორე, იმანენტური განხილვა იდეოლოგიათა არის საზომი გნოსეოლოგიური. გნოსეოლოგია ანუ ცოდნის თეორია (თეორია ენანია, თეორია ივონანია), არის ქეშმარიტების თეორია. იგი განიხილავს კოდნას ქეშმარიტების თვალსაზრისით. ამიტომ გნოსეოლოგიური საზომი დამყარებულია პირდაპირ თანამედროვე მეცნიერებაზე და ლოგიკზე.

ეს ორი სხვა და სხვა საზომია. შეიძლება მათი შერიგება თუ არა? აი კითხვა, რომელიც უმთავრესი კითხვაა მარქსისტულ ფილოსოფიისა. თუ არ შეიძლება

\*\*\*\*\*) იხ. ბაზაროვი „На два фронта“ და კრებული „Очерки по философии марксизма“ სტატია „Мистицизм и реализм нашего времени“ გვ. 25,55 და 69.

\*\*\*\*\*) იხ. იუშევები „Материализм и критический реализм“ ადგილები ემპირიოსიმულიზმში.

მათი შერიგება, მარქსიზმი უნდა განშორდეს ყოველგვარ ფილოსოფიას, იგი უნდა იყვეს მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, და სოციალურ-ცენომორიური მოძღვრება. ჩვენ მაშინ ნება არა ვვაქცეს ვოლაპარაკოთ შოლიან მარქსისტულ მსოფლ-მხედველობის შესახებ.

თუ კი შეიძლება ამ ორი პრინციპის, ამ ორი საზომის შერიგება, მაშინ რომელიმე სისტემაში თუ თანამედროვები არა, მომავალ სისტემაში მაინც უნდა შერიგდეს...

მარქსისტული ფილოსოფია საჭიროებს ამ ორი საზომის შერიგებას: პირევლი პრინციპი საჭიროა, რათა თვით ფილოსოფიური სისტემა იყვეს მარქსისტული.

მეორე პრინციპი საჭიროა, რათა იგი (ეს სისტემა) იყვეს მეცნიერული.

კ. ბაქრაძე

## ქარხნის ხმაური.

ფართოთ გადაშლილ ქალაქის ქუჩებს თავს დასტრირალებს მტვერი და ბოლი... ათას მანქანის გრუუნ-გრიალი ეს ხმა ქარხნიდან ამონასროლი.

გებით ამ ხმაში ტკბილი ბასი? გებით თანხმობა, კავშირი მტური?.. გებით სიმღერა თავსაუფლების? ეს — ქარხნისა მხოლოდ ხმაური!..

იქ მანქანასთან მოძრაობს მუშა ფართოთ გაშლილ მყერეს უმშენებელს ძალა დუჭკირ ცხოვრებით ნაწილობი აზრი თვით ამ ცხოვრებიმ მას შეუცვალა.

ჰედავთ მის გულში იმედის ხივი როგორ ცომუმებს ნაზ-სამურათ?!. იცოდეთ ყველამ, რომ ეს ცომუმი გარდაიქცევა ქარხნის ხმაურათ!..

და ი მაშინ ძმური კავშირი დროშას აღმართავს გამარჯვებისას, თანასწორობის ნორჩი ასულია ჰიმნის ივალობებს ჩაგრულთ შეებისა.

დაპერავს სიი, ფრთის გაშლის ზეცა მოგვევლინება დილა მზანათ... გაპერება ქვეყნათ ყვითელი ლაქა თავს იგრძნობს ყველა აღმინათ!..

3. მირზაშეკლი.

# ეროვნული პროგლემა და მარქსიზმი.

II.

სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პროგრამა.

თანამედროვე ხანაში ერთ იღებს მონაცილებას საერთო საკულტო ცხოვრებაში, როგორც ერთი მთლიანი, განსაყორებული კულტურული ერთეული. შინუალ სამოქალაქო ცხოვრებაში ერთ დაყოფილია სხვადასხვა კლასებათ, მათ შორის სასტიკი, დაუცხრომელი პოლიტიკური და კუნძომისური ბრძოლაა გაჩალებული. ეს ბრძოლა—ბუნებრივი და აუცილებელია ისტორიულ პროგრესისათვის. კლასთა ბრძოლა—ეს ხომ ისტორიის ჩარხია. მაგრამ ეს ხდება შიგნით, ეროვნულ ფარგლებში. იმ დროს კი, როდესაც ერთ გარედან ემუქრებიან, მის სასიცოცხლოს ედავებიან—მათინ დაინახავთ ერთ ერთ, მჭიდროთ გაერთიანებულს თავგანწირულ ბრძოლაში. იღეთ თანამედროვე საფრანგეთი, ბელგია, ბელგიის მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი დებულების სისტორია. იმ რას სწორდა ამის შესახებ 1894 წელს „კალში“ ჩვენი პუბლიკისტი ნორ უორდანია: „...ხალხი გრძნებს თავის თავს ერთა, ჭირში და ლინში განუყრელათ, აქვს წარმოლებენა დავის „მე“-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ. ფრანგები, არისტოკრატი იყოს, თუ დემოკრატი, ღიმერიალი, თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველ-ოვის სრულს ერთობას იჩინენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მულამ და დაულალავთ ებრძებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ ღრმაშის ქვეშ იქიბებიან, ერთი შეკრისათვის თავსა სდგეს; როცა მათ ეროვნულ თვითა-ასებრობას განსაცდელი არა მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყნის წალევას უმირებეს. ამ შეათვევებაში ღლივებს დროებით მიძინებული ერთ-სულოვნობა და ერთი შეორის დაუდგრომელი მტერი სათმარ ველ-ჩელ გაყილნი გამოდიან“. (კურსივი ჩვენია). იმ ეს სიტყვები ნათლათ მოწმობებ იმას, რომ ერთ დღეს ერთი განუყრელი, მოლიანი ორგანიზმია.

და იმისათვის, რომ ეს ორგანიზმი სცოცხლობეს და ვითარდებოდეს, აუცილებელია, — შეიძინოს ერმა იყოთი ორგანები, რომელიც გაუძიებებიან მის საერთო კუნძომისურ, მოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.\*)

\*) აკაკი ჩხერიელი ასე მოსწრებულათ გადმიოგვემს ამ აზრის. „ერთ ვერ ერობს, ნუ გწამთ მისი მომავალი, თუ მან ადრე თუ გვიან ვერ მოიპოვა სსენტრული (საჭირო უფლებირივი—მ. ხ.) ორგანები. დამოკიდებული ერთ, საჯარო უფლებას მოკლებული ერთ, ესმაგვსება უმოძრაო, გასასტებულ სხეულს, რომლის არგანები; ხელი, ფეხი, თვალი, ყური და სხვა ვარჯიშობის უქონლობით თანდა-თან დუნდება, კარგავს სიცოცხლის უნარს.“

მერე რა სახის უნდა იყვნენ ეს ორგანები, რა გვარ უფლებებით აღწურვილია? იმ ამ კითხვაზე სსვა და სხვა ნარიათ უპასუხებენ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელნი.

არ შევეხებით ყველა მიმართულებებს, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომელიც ჩვენ ყველაზე სწორეთ და საფუძველიან მიგვმინდნ.

ჩვენ შმიდით შევხედებით სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიათა პროგრამებში ასეთ მუხლს: „ერს ენიჭება სრულ უფლება თვითოვამორკვევისა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ერთ თავის ბედს სწორებს, სხვის დაუკითხავთ. მისი გადწყვეტილების წინააღმდეგ ჩვენ ვერ წავალთ. ეს იქნებოდა ერთი უფლებათა უცურაცხვითი.

ამ პირნისის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ერის შინაურ ცხოვრებაში, აუკრძალოს მას იქნათ ეროვნული ორგანების შექმნა, რომელიც მას საუკეთესო მინინა. ერს შეუძლია სრულიათ გამოყენოს კადეც სახელმწიფოს, შექმნას თავისი დამოუკადებელი სახელმწიფოს, სუევრენობით, უშენაესობით აღმურვილი.

სოციალ-დემოკრატია ასეთ გადწყვეტილებას, როგორც ერთი ნებისმიერის გადაწყვეტილებას, ვერ შევმოძლება.

მაგრამ ამასთან ერთათ უნდა ხაზასმით აღინიშნოს, რომ სც-დემოკრატია, პროლეტარიატის პარტია, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ერთგული დამცველი ერთს ყველგვარ მოთხოვნილებას, შეიძლება ერთს უმრავლესობა გაჰყენს ისეთ გზას, რომელიც ეწინააღმდეგება პროლეტარიატის და სოციალიზმის დღევანდელ ინტერესებს. ამიტომ ს. დ. პარტიის მოვალეობა მშრომელი მასის წინაშე და ერის უფლება, იმ ერის, რომელიც შესდგება სხვა და სხვა კლასისაგან, არ არის ერთ და იგივე.

თუ ჩამორჩენილ ერში გაბატონებულია თავადაზნურობის ან ბურუუზის გაცვენა, და ერთ იცავს ისეთ ეროვნულ პროგრამას, რომელიც უპირვეველს ყოველისა ამ კლასთა ინტერესებს ემსახურება, ამ შემთხვევაში სოციალმომართვის დამოუკადებელ და დაუდგრობა ბრძოლას ეწევა მისი განხორციელებისათვის.

ჩვენ გამოვდივართ პროლეტარიატის ინტერესებიდან და ამიტომ დღეს ჩვენ თავგამოდებით ვიცავთ და მოყრატის.

ჩვენ არ ვივიწყებთ იმას, რომ მშრომელი მასა მიაწევს სოციალიზმის მხოლოდ დამოკრატიულ წესტყობილების საშეღალებით. ამიტომ დამოკრატიზმის, პოლიტიკურ თავისუფლების სრული განხორციელება—ეს არის ჩვენი უპირვეველსი მოთხოვნილება დღეს დღეობით.

ჩვენ უკვე ვაღვირეთ ის აზრი, რომ დამოკრატიის გადამიტება შეუძლებელია გარეშე ეროვნულ თავისუფლებისა. კაუცის შეხელულებით, დამოკიდებელ და თავისუფლა ერთ დამოკრატია ადვილათ გაშლის ფრთხება და სამუდაოობა განამტკიცებს თავის ბატონობას. აი ამიტომ ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა

ყველაზე უფრო პროლეტარიატის და დემოკრატიის ინტერესებს შეიცავს. როდესაც ერთი დამონავებული და ყოველმხრივ შეიციტორებულია, მოქალებულია ისეთ ელემენტარულ უფლებასაც კი, როგორიც არის სამშობლი ენაზე ოვისუფალი ლაპარაკე—ენი იტაჯება ამის გამო ყველაზე მეტათ? რა თქმა უნდა ფართო მასა, მატერიალურათ დაგენაციული, გალატაციული. შეძლებულ კლასებს ყოველთვის ეძლევათ საშვალება შეისწავლონ სხვა და სხვა ენა და იცხოვრონ შეუვიზიტორებლათ. სხვა კი, რომელმაც მხოლოდ თავის სამშობლო ენა იცის, მის გარეშე გასაქანი არა აქვთ.

აი ყველა ეს აზრები გათვალისწინებული უნდა გვერდეს, როდესაც ჩვენს ეროვნულ პროგრამაზე ვლაპარაკობთ.

ერთი თვითგამორკვევის უფლება—ეს კეთილშობილი და ლამაზი სიტყვებია. ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა ამ პრინციპს რეალური შინაარსი გამოვუახოთ.

ჩვენ გავარკვით უკვე ცნება—ერთი ერთი მთლიანი კულტურული ორგანიზმია, რომელიც გაერთიანებულია ეკონომიკურათ და სულიერათ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

აი ეს, ასე ვთქვათ, ეროვნული ტერიტორია, სამშობლო მიწა—წყალი დიად როლს თამაშობს ეროვნულ კულტურის აღმოჩენებაში და განვითარებაში. შემწატებული ერთი, გაბრენული მთელს დედამიწაზე ცერ განვითარდება, როგორც ერთი მთლიანი კულტურული კავშირი. რა დარჩათ საერთო ქართველ და ინგლისელ ებრაელებში? მხოლოდ ის, რომ ერთინიც და მეორენიც თავის თაეს ებრაელებს უწოდებენ. მაგრამ შეიძლება ამის გამო ლაპარაკი იმაზე, თითქოს ყველა ისინი ჩაბმული იყვნენ ებრაელი კულტურულ ცხოვრებაში? რასაკირველია, არა!

ის ერთ, რომელიც მცირდოთ არის დასხვლებული ერთ ტერიტორიაზე გაცილებით ჟეფენს პირობებში იმ ყოფება, ვიდრე ის, რომელიც გაბრენულია სხვა და სხვა ქვეყნებში.

ტერიტორიალური ერთი, განსაზღვრულ ეროვნულ ტერიტორიის პატრიონი, ქმნის ეროვნულ ცხოვრების მთაწისრიგებლათ ტერიტორიალურ ირგვანებს. უბალლეს ტერიტორიალურ ირგვანის წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც აღჭურვილია უზენაესობით (სუვერენიტეტით) და სრულიათ დამოუკიდებლათ აწარმოებს ქვეყნის საქმებს.

აი ეს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო შეადგენს თანამედროვე პროლეტარიატის ეროვნულ მისწმინდებას.)<sup>\*)</sup> მოვისმინთ კაუკისი სიტყვები ამის შესახებ: „მშრომელი მასა მიიღების პოლიტიკურ თავისუფლებისადმი და დემოკრატიისადმი... იგი მოითხოვს ხალხის სრულ უფლებისადმი და დემოკრატიისადმი...“ იგი მოითხოვს გამოარევის თავისი ბედ-ილბალი. ის ეწინააღმდეგება ყოველგვარ ძალაცანებას, როგორც პიროვნების, კლა-

სის, ისე რომელიმე სხვა ერის მხრით.“ „ეროვნული დამოუკიდებლობა—აი ამაში გამოიხატება მუშათა კლასის მოთხოვნილება.“<sup>\*\*)</sup> კაუკის ფორმულა—ერთი ერთ—ერთი სახელმწიფო, ამ ფორმულას სახელმისამართი იზიარებს ნ. ფორდანია. აი რას სწერდა ის თავის ფედერაციულების ამის დროს: „...მეტყვანიან: განა შეიძლება წერილ ნაციონალურ სახელმწიფოების არსებობა და ასეისუფლათ განვითარება დიდ სახელმწიფოების გვერდით რომელიც არ ინდობენ პატარა ერთ თავის იმპერიალისტურ მიზნის განსახორციელებლათ? ეს მართლაც შეუძლებელია, თუ იმავე დროს არ მოხდა ორი გარემოება: თუ წერილი სახელმწიფოები არ შეერთდენ ფედერატიული კაშირით და არ მოისპონ ეროვნაში სადამოებო იმი.

პირელანაირი შეერთება უნდა გავრცელდეს დიდ სახელმწიფოებზედაც და ამ გზით დაარსდეს ეროვნის ფედერაცია თავისუფლად ვაკრობის ნიადაგზე. ამით იმპერიალისტურ გამანადგურებელ პოლიტიკას ფრთა შეეკვეცება და თუ იმავე დროს სავალდებული შედიაოროვნული სასამართლოც დაარსდება—ომი და წერილ ერების აბუჩით აგდება იშვიათი შეიქნება. ამ ნაირათ, ერთი ერთი სახელმწიფო სწევეტს ნაციონალურ კითხვას და ეს იმავე დროს თანამშება კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას!“

ამ ჩიგათ ჩვენი იდეალი სრული დამოუკიდებლობაა. მაგრამ დღეს დღეობით არსებობს ისეთი პირობები, რომელიც ხელს უშლიან ამ იდეალის განხორციელებას.

